საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-08/67

ქ. ბათუმი 02 ნოემბერი, 2012 წ.

ბსუ–ს აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 და 25-ე მუხლების, ბსუ–ს რექტორის 2012 წლის 07 ივნისის №01-08/21 ბრძანების, ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ–ს აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან, ტურიზმის ფაკულტეტიდან (თითოეულიდან 2 წარმომადგენლის) და განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტიდან 1 წარმომადგენლის არჩევის მიზნით აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნები დაინიშნოს 2012 წლის 19 ნოემბერს.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ოთახი №12), 2012 წლის 5 ნოემბრიდან 2012 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან _ 15 საათამდე, გარდა შაბათ–კვირისა და სხვა უქმე დღეებისა.

3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია (C.V);
გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური - სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის მითითებით.
დ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;
4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განთავსდეს შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

რექტორის მოადგილე **ირაკლი ბარამიძე**